გადაწყვეტილება

N გ-24-19/499
07/11/2024

499-გ-24-1-4-202411071621

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2024 წლის 21 ოქტომბრის №გ-24-1/466 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

I. აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) 2024 წლის 21 ოქტომბრის №გ-24-1/466 გადაწყვეტილებაში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ვ) ქვეპუნქტში მითითებულ გრაფიკში 2024 წლის დეკემბერი - 2025 წლის ოქტომბრის პერიოდზე გადასახდელ თანხად მითითებულია „1 130 678.09 ლარი“ ნაცვლად „1 652 202.82 ლარი“-სა.

II. სამოტივაციო ნაწილი

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები“. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი შესწორების შეტანა ნიშნავს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. შეცდომების გასწორება უნდა გამოქვეყნდეს ან გადაეცეს ოფიციალური გაცნობისთვის იმავე წესით, რომელიც დადგენილია ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისათვის ან გაცნობისათვის.

3. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისიის სამართლებრივი აქტები განისაზღვრება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით. თავის მხრივ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „კომისიის გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც მიიღება კანონმდებლობით კომისიისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.“

4. კომისიის 2024 წლის 21 ოქტომბრის №გ-24-1/466 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ვ) ქვეპუნქტში მითითებულია, რომ შპს „მაგთიკომმა“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F113 ლიცენზიისათვის განსაზღვრული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის დარჩენილი 70%-ის - 19 826 433.90 (ცხრამეტი მილიონ რვაასოცდაექვსი ათას ოთხასოცდაცამეტი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) გადახდა უნდა უზრუნველყოს 12 ყოველთვიურ ტრანშად - 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის ოქტომბრის ჩათვლით, თუმცა გრაფიკში 2024 წლის დეკემბერი - 2025

წლის ოქტომბრის პერიოდზე ნაცვლად 1 652 202.82 ლარისა მითითებულია 1 130 678.09 ლარი, რაც წარმოადგენს ტექნიკურ, გამოთვლის დროს დაშვებულ შეცდომას (19 826 433.90 : 12 = 1 652 202.82 ლარს და არა 1 130 678.09 ლარს) და შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად უნდა გასწორდეს.

III. სარეზოლუციო ნაწილი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. გასწორდეს კომისიის 2024 წლის 21 ოქტომბრის №გ-24-1/466 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა და გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ვ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ვ) შპს „მაგთიკომმა“ უზრუნველყოს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F113 ლიცენზიისათვის განსაზღვრული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის დარჩენილი 70%-ის - 19 826 433.90 (ცხრამეტი მილიონ რვაასოცდაექვსი ათას ოთხასოცდაცამეტი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა შემდეგი რეკვიზიტებისა და გრაფიკის მიხედვით:

მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში-ა/ა-N200122900

ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: N300773402

1 652 202.82 ლარი - 2024 წლის 21 ნოემბრამდე;

1 652 202.82 ლარი - 2024 წლის 21 დეკემბრამდე;

1 652 202.82 ლარი - 2025 წლის 21 იანვრამდე;

1 652 202.82 ლარი - 2025 წლის 21 თებერვლამდე;

1 652 202.82 ლარი - 2025 წლის 21 მარტამდე;

1 652 202.82 ლარი - 2025 წლის 21 აპრილამდე;

1 652 202.82 ლარი - 2025 წლის 21 მაისამდე;

1 652 202.82 ლარი - 2025 წლის 21 ივნისამდე;

1 652 202.82 ლარი - 2025 წლის 21 ივლისამდე;

1 652 202.82 ლარი - 2025 წლის 21 აგვისტომდე;

1 652 202.82 ლარი - 2025 წლის 21 სექტემბრამდე;

1 652 202.82 ლარი - 2025 წლის 21 ოქტომბრამდე;“

2. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ო. ვოტ) წინამდებარე გადაწყვეტილების კომისიის ვებგვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება და შპს “მაგთიკომისთვის” გაგზავნა;

3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) შპს “მაგთიკომისთვის” ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს დაევალოს იურიდიული დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი